პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 250 (19691) პარასკევი, 31 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

29 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის მინსკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. მოხსენება გააკეთა მინსკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. მიხასევმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სახელით, რომლებმაც შეისწავლეს საქმის ვითარება მინსკში, ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ი. აუშკაპმა.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ყარაღანდის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებში მოქალაქეთა მიღების, მათ მიერ დასმული საკითხების გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხი. მოისმინეს ყარაღანდის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ზ. ინკარბაევის მოხსენება. ამ საკითხის შესახებ მონაწილეობენ: [illegible] დეპუტატთა [illegible] საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე [illegible] ინკარბაევი, [illegible] ტამოროვი, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ნ. პოლეტაკოვმა.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილებანი გამოქვეყნდება პრესაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ი. ფ. სოლოვიოვი.

(საკდესი).

გარდაქმნა წარმოების განახლებით იწყება

მხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, ტელევიზიით გამოსვლისას, როცა რეიკიავიკში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრის შედეგებზე საუბრობდა, აღნიშნა: „აიღო რა გარდაქმნის სტარტი, ქვეყანამ უკვე განვლო გარკვეული გზა. ჩვენ ეს-ეს არის დავიწყეთ, მაგრამ ძვრები კი არის. სამრეწველო წარმოების მატებამ 9 თვეში 5,2 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,8 პროცენტით. წარმოებული ეროვნული შემოსავალი შარშანდელთან შედარებით 4,3 პროცენტით გადიდდა. ყველა ეს მაჩვენებელი აღემატება ამ წლის საგეგმო მაჩვენებლებს. ეს კი ჩვენი ხალხის ყველაზე მძლავრი მხარდაჭერაა“.

ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარებაში თავისი მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა ჩვენმა რესპუბლიკამაც. მიმდინარე წლის ცხრა თვეში გეგმის გადაჭარბებით დამზადდა 140,[illegible] მილიონი მანეთის პროდუქცია და რეალიზებულია 135,2 მილიონი მანეთის ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა ამ პერიოდში შეადგინა 104,7 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც გეგმით გათვალისწინებულს, ისე სოციალისტური ვალდებულებით ნავარაუდევს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით, იზრდებოდა წარმოების მოცულობა უკანასკნელ ორ თვეში. სექტემბერში ამ მაჩვენებელმა 107,8 პროცენტი შეადგინა და საგრძნობლად გაუსწრო საშუალო საკავშიროს.

ასეთი შედეგები სხვა ფაქტორებთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ გამოიწვია, ეს კი ახლა მთავარია. სწორედ ეს საკითხი განხილულ ნიოელ ზოლად სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ცხრა თვეში განხორციელდა ახალი ტექნიკის შექმნის გეგმით გათვალისწინებული 900 ღონისძიება, შესრულდა საკავშირო და რესპუბლიკური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგრამით ნავარაუდევი 200-მდე დავალება და სამუშაოთა ეტაპი. ათვისებულია 170 სახეობის ახალი პროდუქცია და აქედან 76 მანქანათსაშენებელ საწარმოთა ნილად მოდის. მათ შორის არის პროგრამული მართვის ხრახნსაჭრელ-სახარატო ნახევრადავტომატი, ელექტროვიბრაციული მანქანა, პიდრავლიკური მანიპულატორი, გამოთვლითი კომპლექსები, სხვადასხვა სახეობისა და დანიშნულების ელექტროძრავები, სიზუსტით უმაღლესი კლასის ანალიზური, საზომი ხელსაწყოები და სხვა.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი დიდეფექტიანი ნაწარმის ათვისებასთან და მათი ტექნიკური დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ არის საკმარისი. ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ ჭარბობს წარმოების მთლიან მოცულობაში ათი წლის წინათ და უფრო ადრე ათვისებული პროდუქციის ხვედრითი სიმარდ ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის საქართველოს განყოფილების სახელმწიფო ინსპექციის მიერ შემოწმებული 45 სახეობის ნაწარმიდან 36 არ შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს. წლის პირველ ნახევარში დაიწუნეს, მაგალითად, კოქსჩამქრობი ელმავლები, ჩაის საკრეფი მანქანები, ავტომატური გამომრთველები, კერამიკული ნაწარმი, თბილისის ანალიზისწყლის საწარმოო გაერთიანების, ქუთაისის ელექტრომექანიკური და მეირე გაბარიტიანი ტრაქტორების, ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხნების ნაკეთობანი. სისტემატურად ვერ ასრულებენ უმაღლესი კატეგორიის გამოშვების დავალებებს „ანალიზისწყლის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, „საქსურსათმანქანის“ საწარმოო გაერთიანება, აზოტის საწარმოო გაერთიანება, რუსთავის თუჯსხმულების ქარხანა და სხვები.

ამ საწარმოების ხელმძღვანელებმა უნდა დაჩქარონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მნიშვნელოვნად დაჩქარდა საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება. ამ მიმართულებით, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ათვისებულია 17 პროცენტით მეტი თანხა. ბევრი რამ გაკეთდა წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. განხორციელდა პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმო ციკლების მექანიზაცია-ავტომატიზაციის დანერგვასთან დაკავშირებული 220 ღონისძიება.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის მრეწველობას არ ახასიათებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ასეთი სწრაფი ტემპი. მანქანათსაშენებელ საწარმოებში არნახულად გაფართოვდა სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენების დიაპაზონი. საგრძნობლად გაიზარდა სხმულებისა და ნამზადის წარმოება კომპლექსურ-მექანიზებულ ხაზებზე, დეტალების ელექტროფიზიკური და ელექტროქიმიური ტექნოლოგიით დამუშავება და სხვა. ცხრა თვეში მანქანათმშენებლობაში დაინერგა 65 მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზი, ათობით რობოტი და მანიპულატორი, 40 პროგრამული მართვის ჩარხი და დამმუშავებელი ცენტრი, მწყობრშია 25 მექანიზებული საწყობი, უბანი და საამქრო.

შედეგები უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სხვა ღონისძიებების განხორციელებას ყველა ერთნაირად მოკიდებოდა. უაქტია, რომ ვერ განხორციელდა საკავშირო გეგმით გათვალისწინებული 11 და რესპუბლიკური პროგრამით ნავარაუდევი 10 ღონისძიება. ამ მხრივ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობისა და სახაგრო მრეწვის სისტემების საწარმოებმა.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის სიტყვაში ქ. ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სწორედ მეთორმეტე ხუთწლედში უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საძირკველი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციას, შეიქმნას მარაგნაკეთი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი ფრონტით შემდგომი, უფრო სწრაფი ნინსვლისათვის.

ეს მომენტი სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. სხვანაირად რაიმე მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.

დღეს, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, დაჩქარების მთავარი შემადგენელი პირობებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი პლუს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია. მათ უნდა იმოქმედონ საინვესტიციო პოლიტიკასთან ორგანული ერთიანობით და მჭიდრო შესამებით.

ისიც გამოკვეთილად ითქვა, რომ, მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რესპუბლიკის საწარმოო აპარატის მდგომარეობა კვლავ არ არის დამაკმაყოფილებელი. 20 წელზე მეტი ხნის მოწყობილობის ხვედრითი წილი თითქმის გაორკეცდა და ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია. აქედან გასაგებია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლიკის დანადგართა პარკის განახლებას, ამ მხრივ სამეურნეო ხელმძღვანელთა, პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, საქმისადმი ნამდვილ სახელმწიფოებრივ მიდგომას.

მიმდინარე ხუთწლედში ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას რესპუბლიკაში მეთორმეტე ხუთწლედთან შედარებით თითქმის 1,5-ჯერ მეტი სახსრები მოხმარდება. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, საგეგმო ორგანოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ისიც, რომ წარმოების ტექნიკური განახლება ხშირად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ძველი ტექნიკის ექსპლუატაცია. ცხრა თვეში მანქანათმშენებლობაში დაინერგა 65 მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზი, ათობით რობოტი და მანიპულატორი, 40 პროგრამული მართვის ჩარხი და დამმუშავებელი ცენტრი, მწყობრშია 25 მექანიზებული საწყობი, უბანი და საამქრო.

შედეგები უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სხვა ღონისძიებების განხორციელებას ყველა ერთნაირად მოკიდებოდა. უაქტია, რომ ვერ განხორციელდა საკავშირო გეგმით გათვალისწინებული 11 და რესპუბლიკური პროგრამით ნავარაუდევი 10 ღონისძიება. ამ მხრივ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობისა და სახაგრო მრეწვის სისტემების საწარმოებმა.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის სიტყვაში ქ. ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სწორედ მეთორმეტე ხუთწლედში უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საძირკველი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციას, შეიქმნას მარაგნაკეთი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი ფრონტით შემდგომი, უფრო სწრაფი ნინსვლისათვის.

ეს მომენტი სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. სხვანაირად რაიმე მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.

დღეს, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, დაჩქარების მთავარი შემადგენელი პირობებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი პლუს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია. მათ უნდა იმოქმედონ საინვესტიციო პოლიტიკასთან ორგანული ერთიანობით და მჭიდრო შესამებით.

ისიც გამოკვეთილად ითქვა, რომ, მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რესპუბლიკის საწარმოო აპარატის მდგომარეობა კვლავ არ არის დამაკმაყოფილებელი. 20 წელზე მეტი ხნის მოწყობილობის ხვედრითი წილი თითქმის გაორკეცდა და ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია. აქედან გასაგებია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლიკის დანადგართა პარკის განახლებას, ამ მხრივ სამეურნეო ხელმძღვანელთა, პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, საქმისადმი ნამდვილ სახელმწიფოებრივ მიდგომას.

მიმდინარე ხუთწლედში ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას რესპუბლიკაში მეთორმეტე ხუთწლედთან შედარებით თითქმის 1,5-ჯერ მეტი სახსრები მოხმარდება. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, საგეგმო ორგანოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ისიც, რომ წარმოების ტექნიკური განახლება ხშირად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ძველის ექსპლუატაცია. პროდუქციის მატებისათვის მეორე ხვედრითი დანაკარგები, მათი ანაზღაურების მოლი ეადა ხელს უწყობს დაგროვების ეფექტიანობის გადიდებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

წარმოების განახლება ოპტიმალურ ეფექტს მხოლოდ მაშინ იძლევა, როცა იგი ინეინრული აზრის თანამედროვე მიღწევებს ემყარება და ოთვალისწინებს არა მარტო დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღის მოთხოვნებსაც. ბევრი სამინისტრო და უწყება ხშირად ვერ ძლევს უწყებრივ ინერტულობას, ობიექტურად ვერ აფასებს პროექტების ტექნოლოგიურ დონეს. სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გადასინჯონ მიდგომაც ახალი ტექნიკის გეგმების შეუშაგებისადმი, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ ისინი უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას, „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციას, თვალი ადევნონ იმას, რომ ეს საკითხები მხოლოდ ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის ბაზაზე წყდებოდეს.

კომუნისტებო! შრომისმოყვარეობისა და დიდი მნეობის პირადი მაგალითით დარაზმეთ მშრომელები სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

70 დიდი ოქტომბრის შესახვედრად

მანდარინი დამწიფდა

აბაზაზიც დაიწყო ციტრუსების კრეფა. ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს მანდარინის კრეფა ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებმა. არაბელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად აქ კარგად მოემზადნენ წლევანდელი სეზონისათვის და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

— წელს, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ასლან ბეჟანიძემ, — სახელმწიფოს ჩავაბარებთ 1080 ტონა მანდარინს, რაც ერთიორად გადააჭარბებს შარშანდელი წლის მაჩვენებელს. თავისი შედეგებით უკვე გვახარებენ პირველი და მეორე ბრიგადები, რომლებსაც ჯუმბერ ჩრომანაძე და ჯემალ გოგიტიძე ხელმძღვანელობენ. თითოეულმა ბრიგადამ შესაბამისად 8 და 6 ტონა მანდარინი მოკრიფა.

მევენახეებმა იმარჯვეს

კახეთის რეგიონში რთველი მთავრდება. 29 ოქტომბრისათვის 339 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მოიკრიფა. რთველში წარმატებას მიაღწიეს სიღნაღის რაიონის მეზვრეებმა, ნაცვლად 45 ათასი ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 48 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. საგეგმო დავალება დიდი გადამეტებით შეასრულეს ბოდბისხევის, ჯუგაანის, ვაქირის კოლმეურნეობებმა, ხირსის საბჭოთა მეურნეობამ...

წარმატებას მიაღწიეს ლაგოდეხის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, ცხაკაიას, საჩხერის, ზუგდიდის რაიონების მევენახეებმა. ლაგოდეხელებმა 20 ათასი ტონის ნაცვლად დაამზადეს 20.452 ტონა ყურძენი, ხოლო ბოლნისელებმა 10.700 ტონის ნაცვლად 12.600 ტონაზე მეტი.

სულ რესპუბლიკაში დამზადებულია 464 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ეს კი შარშანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. ყურძნის კრეფის ტემპი უნდა დაჩქარდეს.

ოსეთი

ასობით საწარმოო უბანი, ცეხი, ბრიგადა, ცალკეული მუშები უპატაკებენ სამშობლოს ამ დღეებში, რომ ვადამდე შეასრულეს მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი. სულ უფრო ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „ორი წლის გეგმა — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“.

▼▼

ასე მუშაობა ყველას შეუძლია,

აცხადებს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ოსტატი პ. ლამბაშიძე.

— **დიდი** ოქტომბრის 69 წლისთავისათვის ექსპლოატაციის მუშაკებს გავუგზავნეთ მორიგ „ვლ-15“ მარკის ელმავალს. ჩვენი ორსექციანი ელმავლები წარმატებით მუშაობენ ურალის რკინიგზის ყველაზე ძნელ უბნებზე.

საწარმოს ეკონომისტებთან ერთად ამ დღეებში გამოვიანგარიშეთ, რომ, თუ არ შევანელებთ წლის დამდეგიდან აღებულ ტემპს და დროულად უბრუნელგვყოფენ მაკომპლექტებელი ნაწარმით, ყოველთვიურ დავალებებს ორისამი დღით ადრე შევასრულებთ. ეს კარგი წინამძღვარია იმისა, რომ შეგვძლებთ ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შევასრულოთ. ვფიქრობ, ჩვენი კონსტრუქტორები და ტექნიკური სამსახურები მუშაკები აწყობის უბნებზე დანერგავენ რობოტებს და მანიპულატორებს, განაგრძობენ ტექნოლოგიის სრულყოფას.

დაჩქარება დისციპლინით იწყება,

ამტკიცებს „საქტრანსგაზის“ საწარმოო გაერთიანების „ჯაზბეგის უბნის ელექტროშემდუღებელი გ. ნარიმანიძე.

— **დიდი** ოქტომბრის 69 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულება შევასრულეთ: ჩვენ, მოზდოკ-ორჯონიკიძე-თბილისის ტრანსკავკასიის მაგისტრალური 300-კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლებმა, გადავლახეთ თერგის ქედი. ვიპირებთ დავაჩქაროთ მუშაობის ტემპი. ყოველი დაჩქარება დისციპლინით, ორგანიზებულობით, წესრიგით იწყება. სწორედ ამ რეზერვის იმედი გვაქვს, როცა ვიგრძელებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებას.

საქართველოს სამხედრო გზის რაიონში ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზე გაყვანილი ფოლადის „ძაფი“ გადაკვეთს ჯვრის უღელტეხილს. ტრასაზე უნდა გავიყვანოთ რამდენიმე გვირაბი, ავაშენოთ ღვარცოფისა და ქვათაცვენისაგან დამცავ ნაგებობათა სისტემები. ორი თვით გაჩერება რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა შედეგიანად გამოვიყენოთ ყოველი სამუშაო წუთი, ბრიგადის თითოეული წევრის გამომუშავება ფიზიკური მოცულობით ცვლაში გავზარდოთ 1,8 კუბურ მეტრ ბეტონამდე. ახლა ეს მაჩვენებელი 1,65 კუბურ მეტრს უდრის.

უფრო გაბედულად უნდა ვნერგავდეთ ახალს,

გვირჩევს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი ზ. ცხელიშვილი.

— **ჯერ** კიდევ სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დღეებში ჩვენმა ბრიგადამ მოიფიქრა „ოქტომბრის 69 წლისთავისთვის რეკონსტრუქციის შემდეგ აეთვისებინა დახუოული სადნობი ღუმელის საპროექტო სიმძლავრე. ჩვენ მხარი დაგვიჭირეს. და აი, შედეგიც: გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 1000 ტონაზე მეტი ფეროშენადნობები, რომლებიც საჭიროა მანქანათსაშენებელი წარმოებისათვის.

ახალი წარმატებები მოაქვს პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, მეცნიერების მიღწევათა დანერგვას. გაიზარდა ქვედების მედეგობა, დაიხეწა საკონტროლო-გასაზომი ხელსაწყოები, რაც საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ღუმელის თაღების გადამეტხურება. ქარხანაში მუშაობს მოწინავე გამოცდილების სკოლა, რომელშიც სწავლობენ საუკეთესო მდნობელების, მათ შორის ჩვენი ბრიგადის წევრის ავთანდილ ჭუმბურიძის მუშაობის მეთოდებს. მან პირველმა შეასრულა მიმდინარე წლის დავალება.

ხომალდზე არ არსებობს ფვრილმანები,

გვარწმუნებს მადანმზიდის „ნიკოლოზ ვოზნესენსკის“ კაპიტნის მეორე თანაშემწე რ. სალიმოვი.

— **ჩვენი** მადანმზიდის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ყოველ რეისზე გადაზიდოს 70 ტონა ტვირთი გეგმის გადაჭარბებით. წელიწადში ეს შეადგენს 840 ტონას. ფაქტობრივად ცხრა რეისის განმავლობაში გადავზიდეთ 958 ტონა ზეგეგმითი ტვირთი და ვადამდე შევასრულეთ წლის დავალება. (საქინფორმი).

სოციალიზმის იდეები შეუძლებელია!

„სკკპ XXVII ყრილობა და სოციალიზმის ეკონომიკის თანამედროვე ანტიმარქსისტულ კონცეფციათა კრიტიკის გაღრმავების აქტუალური პრობლემები“ — ამ თემას მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირი, რომელიც 29 ოქტომბერს გაიხსნა თბილისში.

მის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საზოგადოებათმცოდნეები და ეკონომისტები.

თბილისის შეხვედრის მონაწილეებმა უნდა შეიმუშაონ რეკომენდაციები, რათა გაძლიერდეს თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებანი სოციალიზმის ეკონომიკის ბურჟუაზიულ, რეფორმისტულ და რევიზიონისტულ კონცეფციათა კრიტიკის თვისებრივი დონის ამაღლებისათვის. თათბირის ფარგლებში „გიმარჯობა“ შეხვედრები „ბრგვალ მაგიდასთან“ თემაზე: „დაჩქარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და იდეათა ბრძოლა“.

სპეციალური სხდომა მიეძღვნა სოციალიზმის ანტიმარქსისტულ ეკონომიკურ თეორიათა კრიტიკის დარგში გამოკვლევებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო კოორდინაციის საკითხებს.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. თავხელიძე.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ე. პრიმაკოვმა, რომელმაც თქვა:

— სკკპ XXVII ყრილობასა და მომდე სოციალისტური ქვეყნების პარტიულ ყრილობებზე მიღებული საპროგრამო დოკუმენტები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის ცენტრალური ობიექტები გახდა. ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი ცდილობენ დაამახინჯონ მიღებულ გადაწყვეტილებათა არსი და მიზნები, დააკნინონ მათი მნიშვნელობა, ლაპარაკობენ რაღაც „სოციალიზმის კრიზისზე“. უწინასწარმეტყველებენ რა დაღუპვას მსოფლიოს პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, ბურჟუაზიული პოლიტიკონომისტები ამით ცხადყოფენ თავიანთი თეორიების უსუსურობას, რასაც ადასტურებს სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებათა დინამიკური განვითარება.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენება „სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პრობლემები ბურჟუაზიული სოვეტოლოგიის მიუდე სარკეში“ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „სოციალიზმის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებანი და ორი სისტემის შეჯიბრება“ სამეცნიერო საბჭოს საპრობლემო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ი. ოლსევიჩმა.

პროფესორებმა ტ. ტრენდაფილოვმა (ბულგარეთი), ა. ბიონმმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), დ. მარკუშმა (უნგრეთი) და სხვებმა თავიანთ მოხსენებებში განიხილეს სოციალიზმის ბუნების შესახებ ანტიკომუნისტური დისკუსიის უახლესი ტენდენციები, სოციალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული კონცეფციის ზოგიერთი ვერსია, ევროპის უშიშროების ალტერნატივები, სოციალისტურ საკუთრებაზე ბურჟუაზიულ შეხედულებათა კრიტიკის საკითხები და სხვა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ბულანოვი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლთა განყოფილების გამგე გ. ჩოგოვაძე.

თათბირი 2 ნოემბრამდე გასტანს. (საკინფორმი).

მტკიცდება ტრანსპორტის მუშაკთა კონტაქტები

ტრანსპორტის დარგში სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა მუდმივი სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომელიც თბილისში მიმდინარეობს. სსრ კავშირის გზათა სამინისტროს მოძრაობის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ნ. ი. გრიგორენკომ უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს:

— ოცდამეთხუთმეტედ შეიკრიბნენ მომე ქვეყნების სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრა პირველად იმართება საქართველოს დედაქალაქში. თათბირის მოწყობის ახალი ადგილის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. წლითთწლობით იზრდება თბილისის, როგორც უდიდესი სატრანსპორტო კვანძის, მნიშვნელობა, სადაც ერთმანეთს კვეთენ საერთაშორისო საავტომობილო, ავია და რკინგზის ხაზები. გარდა ამისა, სასარგებლოა ამიერკავკასიის სპეციალისტთა მუშაობის გამოცდილების გაცნობაც.

შეხვედრის მონაწილენი განიხილავენ ტრანსპორტზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს, ამუშავებენ ერთობლივ წინადადებებს დიდტონაჟიანი კონტეინერების მართვის საერთაშორისო ავტომატიზებული სისტემის ორგანიზაციის, „გზაში შემადგენლობათა ყოფნის დროის შემცირების, მგზავრთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

წლევანდელი შეხვედრა მიმდინარეობს ორი ქვეყნის ტრანსპორტის მუშაკთა უფრო მზარდი კონტაქტების ვითარებაში. ყველაზე ფართოდ გამოიყენება თანამშრომლობის ახალი ფორმები, რომლებმაც „უკვე - გამოიღო პირველი საგრძნობი ნაყოფი. მაგალითად, წლის დამდეგიდან გადატანილია 16 პროცენტით მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი მარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. უმჯობესდება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები სხვა სახეობათა ტრანსპორტზეც.

გამოიცა კრებული

გამოვიდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა“. კრებულში დაბეჭდილია პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებები, სიტყვები და გამოსვლები. კრებული მასალები მოიცავენ 1985 წლის აპრილიდან 1986 წლის ოქტომბრამდე პერიოდს.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ღონისძიება დროულად შეიმუშავეს, მაგრამ...

ზამთრისათვის მიზანმიმართული მზადება რომ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს საწარმოთა გეგმაზომიერ, შეუფერხებელ მუშაობას, ეს ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა იცის. ამიტომ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ადმინისტრაციამ გაზაფხულზევე შეიმუშავა ღონისძიებათა სისტემა, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას უნდა განესაზღვრა საწარმოს მუშაობის რიტმის შეუფერხებლობა ზამთარში. მაგრამ ერთია ღონისძიებათა დაგეგმვა, მეორე — მათი შესრულება.

ქარხანაში ამ მხრივ დღეისათვის კი შესრულდა სამუშაოები, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც არ არის მოგვარებული. ამან არ შეიძლება თავისი. კვალი არ დაიჩინოს საწარმოს მიერ სახელმწიფო დავალებათა შესრულებას.

მაშ ასე, ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მშრომელებმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს, რათა მომზადებული შეხვედროდნენ ზამთარს. რა გაკეთდა სახელდობრ? შეაკეთეს ელექტრომომარაგების ქვესადგური, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კომპრესორი და მაღალი ძაბვის საკაბელო ხაზი, განახლდა საამქროთა ალაყაფის კარები, შეიცვალა მეორმოცე ორთქლის ქვაბის კვამლგამწოვი, შემოწმდა ყველა ქვაბ-დანადგარი, ქიმიურად გაიწმინდა ტექნოლოგიური მილები, შეკეთდა გაზმანაწილებელი სადგურები, რომლებიც ახლა შეუფერხებლად მუშაობენ, შეიფუთა მილგაყ

საკვებწარმოების პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაწყდეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ

დაიწყო პირუტყვის გამოზამთრება და მეცხოველეებსაც საზრუნავი მოემატათ. ზაფხულის განმავლობაში მრავალ საზოგადოებრივ მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, აბაშის, სიღნაღის, ახმეტის, მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებში, გაიზარდა ნაწველი და პირუტყვის წონამატება. გეგმის გადაჭარბებით დამზადდა ასობით ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქცია. სპქმის ასეთ გაუმჯობესებაზე ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა გარდაქმნებმა, დარგის განვითარების დაჩქარების კურსის განხორციელებამ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ახლა მეცხოველეთათვის მნიშვნელოვანია დამკვიდრდნენ ამ პოზიციებზე. ეს კი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არიან მზად ფერმები ზამთრის პირობებში მუშაობისათვის, როგორ არიან უზრუნველყოფილი ისინი საკვების მარაგით.

სანამ ზამთარი დადგებოდეს

—საკუთარი თავისებურება აქვს საკვების დამზადების ყოველ კამპანიას,—საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა რესპუბლიკის აგრომრეწველა საკვებდამზადების სამმართველოს უფროსმა ნ. ა. გოდაბრელიძემ. — წლევანდელი კამპანიის უდავო პლუსად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გავსწორით საკვების დამზადების შარშანდელ ტემპს ყველა სახეობის მიხედვით. მაგალითად, ოქტომბრის უკანასკნელი დეკადის დასაწყისისათვის მეურნეობებში შარშანდელთან შედარებით 198 ათასი ტონით მეტი უხეში საკვებია დამზადებული. ეს თვე განსაკუთრებით „უხვმოსავლიანი“ იყო თივის დამზადების საქმეში: მარტო ოცი დღის მანძილზე ფერმებში გადაზიდულია 50 ათას ტონაზე მეტი თივა. მორიგი ასეთი წარმატებაც და თივის დამზადების წლიური საგეგმო მიჯნას — 700 ათას ტონას მივაღწევთ.

ბორცეულების ღონისძიებები, რათა უფრო აქტიურად, მარჯვედ მოქმედებდნენ მექანიზატორები, რომლებსაც ფერმებში მიაქვთ საკვები.

მართალია უხეში საკვების დამზადების წლიური გეგმა მთლიანად 110 პროცენტით შესრულდა, მაგრამ, ამ მაჩვენებლის მიხედვით დავალებას თავს ვერ ართმევენ ცხაკაიას, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ზოგიერთი სხვა რაიონის საკვებმომპოვებლები. უხეში საკვების ასორტიმენტში განსაკუთრებით შეიმჩნევა ნამჯის დანაკლისი. ამის მიზეზია, უწინარეს ყოვლისა, ზაფხულის ძლიერი გვალვა, განსაკუთრებით, ქართლსა და კახეთში. მაგალითად, გვალვის გამო წითელწყაროს რაიონში ეს საკვები სულ 22,4 ათასი ტონა მოიმარაგეს, როცა გეგმით 40 ათასი ტონა იყო გათვალისწინებული. მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილი დეფიციტის როგორმე შევსების მიზნით, მეურნეობები ნამჯას კრასნოდარის მხარეში ამზადებენ. დაგეგმილი 100 ათასი ტონიდან ამ საკვების ნახევარზე მეტი უკვე შემოზიდულია.

ერთი სიტყვით, არის უხეში საკვების მარაგის შევსების რეზერვები, და საჭიროა აუცილებლად ავამოქმედოთ ისინი. ავიღოთ თუნდაც სიმინდის ღერო, რომელიც სწორედ უხეშ საკვებად გამოიყენება. ამავე დროს აფხაზეთსა და აჭარაში სიმინდი ჯერ კიდევ ასაღებია შესაბამისად 5 და 1,5 ათას ჰექტარ ფართობზე. საჩხერის, თერჯოლის რაიონებში კი სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა განხორციელებასთან ერთად შეძლეს გაეზარდათ სიმინდის ღეროს დამზადების ტემპი. აქაურ მინდვრებში იმაზე მეტი სასილოსე მასა აღმოჩნდა წელს, ვიდრე მოსალოდნელი იყო: თავდაპირველად, სასილოსე სიმინდის მოსავლის მიღებისათვის განკუთვნილი ნთესი ფართობების ნაწილი შემდეგ სათესლე სიმინდისათვის დატოვეს. ახლა ეს მინდვრები გვაძლევენ მარცვლეულსაც, ღეროსაც და სიმინდის ტაროსაც. თუმცა ასეთი დანამატით ძნელია შეავსოთ საკვების ნაკლებობა ფერმებში. ამიტომ საჭიროა დავაჩქაროთ საკვები ჭარხლისა და ტურნეფსის აღება.

წელს რესპუბლიკაში ჭარხლის ნათესებისათვის დავალებით გათვალისწინებული 5.500 ჰექტარის ნაცვლად გამოყოფილია 6.300 ჰექტარი. ამჟამად ამ საკვების დამზადების გეგმა დაახლოებით სანახევროდაა შესრულებული, მაგრამ საკმარისი იყო დაგვეჩქარებინა მუშაობის ტემპი, რომ ერთ კვირაში, 13-დან 20 ოქტომბრამდე, მისი მარაგი ერთბაშად თითქმის 10 ათასი ტონით გაიზარდა. ამინდის პირობები საშუალებას გვაძლევს განვაგრძოთ ძირხვენების ამოღება მომავალ თვეში, და უფრო გვიან ვადებშიც. ეს საკვები, მიაღწევს რა მაქსიმალურ წონას და შეიძენს ყუათიან ნივთიერებებს, პირუტყვის ზამთრის რაციონის შესანიშნავი წვნიანი დანამატი გახდება.

ჩხოროწყუს **რაიონის ფერმის მუშაკებმა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში სამჯერ გაიმარჯვეს და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ. 1984 წელს რაიონში რძის წარმოება რენტაბელური გახდა, ხოლო 1985 წელს — ღორის ხორცის წარმოება. მაღე მეცხოველეობა აქ მთლიანად მომგებიანი დარგი გახდება. არის ზრდის რეზერვები.**

— წარმატებები, უწინარესად, საკვებმომპოვებელთა დიდი გარჯის ნაყოფია — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის შემდეგ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკუთარი წარმოების საკვები ბაზის განმტკიცებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, მრავალფეროვანი ყუათიანი საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივ მეურნეობებში მტკიცედ დაინერგა საკვები კულტურების წელიწადში ორი, ზოგჯერ სამი მოსავლის მიღება. სათიბ-საძოვრების ნაყოფიერების გადიდებით, შუალედური კულტურების გამოყენებით იქმნება საკვების ის მარაგი, რომელიც ესოდენ საჭიროა მეცხოველეობის რენტაბელობისათვის. ახლა რაიონში ყოველწლიურად 800 ჰექტარი ვრცა ითესება. მარტო იგი გვაძლევს 7.100 ტონა სენაჟს, 3.500 ტონა სილოსს, 1.500 ტონა თივას და 2.000 ტონაზე მეტ საკვებ მწვანე მასას. ნაშვრიალ ფართობზე ვიღებთ 18.500 ტონა სიმინდის სასილოსე მასას. გარდა ამისა ძირხვენები, მრავალწლოვანი ნათესი და ბუნებრივი ბალახები საშუალებას გვაძლევს ერთ პირობით პირუტყვზე გადაანგარიშებით მივიღოთ 19 ცენტნერი საკვები ერთეული.

მკვეთრად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა და ხარისხი. ხორცის მიყიდვის 9 თვის გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით, რძისა — 118,7 პროცენტით, კვერცხისა — 108,3 პროცენტით. ამასთან, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია ამ პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ადგილზე ბაგურ-ბანაკურ კვებაზე ჰყავთ 500 სული პირობითი ძროხა (მომთაბარე პირუტყვის გამოკლებით), 563 სული ღორი. კოლმეურნეობის საბრუნავი მიწის ფართობი შეადგენს 117 ჰექტარს, ესე იგი ერთ ჰექტარ სახნავზე აქ მოდის 9 სული. მიწების ინტენსიფიკაციით კოლმეურნეობაში ყოველწლიურად ამზადებენ 1800-2000 ტონა სილოსს, 470-500 ტონა სენაჟს, 380 ტონა თივას, მზადდება 100 ტონა მწვანე საკვები, 150-170 ტონა ტურნეფსი წვნიან საკვებად. ამის წყალობით კოლმეურნეობაში 2.600 კილოგრამს აღწევს, ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა — 300 კილოგრამს, ღორისა — 91 კილოგრამს.

გამარჯვებული მეცხოველეობი

ნაფიჩხოვის, ხაბუმეს, ლესიჭინეს და სხვა მეურნეობები ყოველწლიურად 3-3 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფენ. ამავე დროს მეცხოველეობაც კარგად აქვთ განვითარებული. ასე რომ, ამ მცირემიწიან სოფლებში საკვებწარმოებისათვის მცირეველი მიწაც კი არ გაიჩინათ, თითოეულ მეურნეობას ჰყავს 1000 სულზე მეტი პირუტყვი და ღორი. ასეთივე მდგომარეობაა მთიანი წალენჯიხისა და გეგეჭკორის საზოგადოებრივ მეურნეობებში. ეს იმ დროს, როცა კოლხეთმშენის დაშრობილი მიწები ხელახლა დასაშრობი ხდება ხობში, აბაშაში, გალში და სხვაგან. სახელმწიფო ახალი მეურნეობების გასაშენებლად მილიოხობით თანხას ხარჯავს. კარგი იქნებოდა, რომ მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის გამიეყოთ ეს მიწები და დაეკალენინათ მათი ათვისება.

ახლა, ამ ეტაპზე, მეცხოველეთა მთავარი ამოცანაა ყველაფერი იღონონ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. ეს არის უწინარესად მეურნეობათა ხელმძღვანელების, ბრიგადების, ფერმების მუშაკთა მკაცრი გამოცდა, საჭიროა ყველგან ფართოდ იყენებდნენ მეცნიერების მიღწევებს და მოწინავეთა გამოცდილებას, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესულ ფორმებს.

ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ შარშან პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის სიღნაღის რაიონი ჩხოროწყუს რაიონთან ერთად საკავშირო გარდამავალი დროშითა და ფულადი პრემიით დაჯილდოდა. ამ დიდმა ჯილდომ რაიონის მეცხოველეები და საკვებმომპოვებლები ერთობ აღაფრთოვანა. რაიონულ თათბირზე საკვებმომპოვებელთა და მეცხოველეთა მისამართით ბევრი სანაქებო სიტყვა ითქვა. გამარჯვებულთა თათბირზე მიღებულ ვალდებულებაში ხაზგასმით აღინიშნა, შრომის ესოდენ დიდად შეფასება, საპატიო ჯილდოს მიღება უფრო მეტს გვავალებსო.

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ ქევხიშვილმა, როცა რაიონის საკვებმომპოვებლებსა და მეცხოველეებს ეს დიდი ჯილდო მიულოცა, თქვა: საკავშირო გარდამავალი დროშითა და ფულადი პრემიით რაიონის დაჯილდოება შრომის დიდი შეფასებაა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას, რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას უღრმესი მადლობა უნდა მოვახსენოთ და სოფლის მშრომელთა და რაიონის აქტივის სახელით უნდა აღვთქვათ, ასეთი დფასებისათვის მეტად გავირჯებით და ახალ-ახალ გამარჯვებას მოვიპოვებთ. პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის რომ უხვი და მაღალხარისხოვანი საკვებია საჭირო, ეს ყველამ ვიცით და აქედანვე ვზრუნავთ მომავალი ზამთრისათვისო.

რაიონის მშრომელებმა ჯილდოს შესახებ ცნობა გაზეთში რომ წაიკითხეს, თივისა და სენაჟის დამზადების წლიური გეგმა თითქმის შესრულებული ჰქონდათ. ახლა კი რაიონის საკვებმომპოვებლებმა გადამეტებით შეასრულეს ეს პირუტყვის საკვების დამზადების დავალებანი. ამას მოგვითხრობს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე დავით ალადაშვილი: ძროხას რძე ენაზე აქვსო, ხალხს ტყუილად კი არ უთქვამს. როგორ და რა ხარისხის საკვებსაც აკმეკ პირუტყვს, იმდენსა და ისეთ რძესა და სხვა პროდუქტებს მოგცემს. ეს ჩვენი რაიონის ფერმების მუშაკებმა და, საკვებმომპოვებლებმა კარგად იციან და ენერგიასა და გამოცდილებას არ იშურებენ, რათა პირუტყვი ყოველთვის მაძღარი ჰყავდეთ.

მეცნიერულადაც და პრაქტიკულადაც დამტკიცებულია, რომ საკვებმომპოვება კომპლექსურად, იმტენსიურად, დაჩქარებით, აგროვადებში უნდა მიმდინარეობდეს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მარტო რაოდენობა ვერაფერს გვიშველის, თუ საკვები მაღალხარისხოვანი არ არის. ყუათიან საკვებს პირუტყვი კარგად, უნარჩენოდ ჭამს და დანაკარგებიც მინიმუმამდე მცირდება.

რაიონის საკვებმომპოვებლებმა ეს კარგად იციან და წლეულსაც ყუთიან საკვებს ამზადებენ წელს გვალვიანი წელიწადი იყო, მაგრამ თავა თავის დროზე 14.000 ტონის ნაცვლად 14.217 ტონა დაამზადეს და მეტწილად მაღალხარისხოვანი. ასევე ითქმის სენაჟზეც—30.000 ტონის ნაცვლად 55.550 ტონა მოიმარაგეს. ეს დიდი წარმატება საუკეთესო ვადებში თიბვის შედეგია. 27 ტონის ნაცვლად დამზადებული 1.700 ტონა.

საკვებწარმოებაში წელს ბევრი კოლმეურნეობა დაწინაურდა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ნუკრიანის (თავმჯდომარე რ. ფირაშვილი), ბოდბის (თავმჯდომარე ჯ. გოგინაშვილი), ბოდბისხევის (თავმჯდომარე გ. ბერაშვილი), ვაქირის (თავმჯდომარე ბ. დავითაშვილი), ანაგის (თავმჯდომარე გ. ჯახუარაშვილი) და ბევრი სხვა. ამ კოლმეურნეობებში იმდენი საკვები მოიმარაგეს, რომ პირუტყვის გამოზამთრება არ გაუჭირდებათ.

ერთი სიტყვით, შარშანდელ გამოზამთრებაში გამარჯვებული რაიონის საკვებმომპოვებლებს წარმატება წელსაც დიდი აქვთ; მაგრამ საზრუნავიც არ აკლიათ იმისათვის, რომ ყოველგვარი საკვები უხვად ჰქონდეთ. დიდ ჯილდოს მართლაც დიდი გარჯა უნდა.

ვ. მინდელი.

დიდი ჯილდო მეტს გვავალებს

ზემოთხვევა მართლაც საგანგაშო იყო: კასპის რაიონის ახალქალაქის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში 200 ტონა უხეში საკვები დაიტაცეს. რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ დატაცების ფაქტი გამოავლინა, კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯნენ თივის ქურდები, მეურნეობის დირექტორი და მთავარი აგრონომი სამუშაოდან გაათავისუფლეს.

ყოველდღიური ფხიზელი კონტროლი არა მარტო საკვების დამზადებისადმი, ჭრამედ იმისადმიც, თუ როგორია მისი შენახვის პირობები და ხარჯვის ორგანიზაცია, — ასეთია დღეს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეების შრომის დევიზი.

მეცხოველეობის ფერმები ახლა ზამთრისათვის ემზადებიან და სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ეს სამზადისი ბევრ არსებით სიახლეს შეიცავს.

დავიწყოთ იმით, რომ წელს კასპელები საკვების გარედან აღარ შემოიტანენ, პირიქით, განზრახული აქვთ უხეში საკვებით სხვა რაიონებს დაეხმარონ.

მეორეც, წლეულს მარტივი ტიპის საკვების სამზარეულოები საზოგადოებრივ მეურნეობებში ოთხიდან ცამეტამდე გაიზარდა. ახლა უკვე პირუტყვს სხვადასხვა კომპონენტით გამდიდრებულ დაორთქლილ საკვებს ამლუვენ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რაოდენ ეფექტიანია პირუტყვის პროდუქტიულობისათვის კვების ასეთი მეთოდი.

ახლა გვიანი შემოდგომაა, მაგრამ რაიონის საკვებმომპოვებლებს არც ახლა ეღვიათ საქმე — იღებენ ჩალას, საკვებ ჭარხალს, მთებიდან მანქანებით დაწნეხილ თივას ეზიდებიან და ფერმებთან ზვინავენ. არაფერია საესაყვედურო საკვებმომპოვებელთა მიმართ: ყველა ზვინს აქვს თავისი პასპორტი, მასზე აღნიშნულია საკვების სახეობა, დაზვინვის დრო და რაოდენობა, ზვინების ირგვლივ მიწა შემოხნული და შემოღობილია.

დღეისათვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საკვებად 17 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 22 ათასი ტონა უხეში საკვები, 16 ათასი ტონა წვნიანი საკვების ნაცვლად ჩადებულია 15 ათასი ტონა სილოსი. საკვების დამზადება გრძელდება.

აქაური მეცხოველეები ვარაუდობენ, რომ ერთ პირობით სულზე გადაანგარიშებით საგეგმო 13,8-ის ნაცვლად 19 ცენტნერი საკვები ერთეული დამზადდება, საფურაჟე მარცვლეულის ჩათვლით კი — 23 ცენტნერი საკვები ერთეული.

უხვი და ყუთიანი საკვები უხვი რძე და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებია. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში განვლილ ცხრა თვეში წარმოებული ხაგეგმოსთან შედარებით 219 ტონით მეტი რძე, 29,9 ტონით მეტი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2624,5 ტონა ხორცი, შარშანდელზე 233 ტონით მეტი, ფურის საშუალო წელადობა ცხრა თვის შედეგების მიხედვით უკვე მოუახლოვდა წლიურ საგეგმო მაჩვენებელს — 1686 კილოგრამს.

ჩინებულად გარჯილან კასპის კოლმეურნეობის მეცხოველეები. გულისყურით შეთვისებულ-შერემონტებული ფერმები, მექანიზაციით მაღალი დონე, მრავალფეროვანი საკვები ზამთარში მაღალი წველადობის პირობებს ქმნის.

ტრადიციულად მომზადებული ხვდებიან ზამთრის სეზონს სამთავისის კოლმეურნეობის მეცხოველეები, სადაც ყველა სახის საკვები გადაჭარბებით დამზადდა.

2127 ტონა უხეში საკვები, საგეგმოზე თითქმის ერთ-ნახევარჯერ მეტი დაზვინეს ქვემოკალელმა მშრომელებმა, ფერმები გარემონტებულია, პირუტყვი — მოვლილი.

საქმე აღმავლობით მიდის

საკვების ხარისხს—მკაცრი კონტროლი

ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა აბაშის რაიონის მეცხოველეებმა. უკვე გაიყიდა 4.800 ტონა რძე გეგმით გათვალისწინებული 4.660 ტონის ნაცვლად. დავალებათა რეალიზაციაში თავი გამოიჩინეს სოფლების მარანის, პირველი მაისის კოლმეურნეობების, კეთილარის მეცხოველეობის კომპლექსისა და სუჯუნის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა.

— წარმატება მიღწეულია, საკვების ხარისხისადმი მკაცრი კონტროლის, პირუტყვის მოვლისა და კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აბაშის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. ფირცხელავამ. — ამან კი ნამატის გადიდების შესაძლებლობა მოგვცა: წელს გეგმით უნდა მივგვიღო 2200 სული ხბო, მივიღეთ 2400 სული, 697 სულით მეტი, ვიდრე შარშან, თითოეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 297 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე შარშან.

ვანის **რაიონის** **მეურნეობებში** **მექანიზებულად.** **იღებენ** **სასილოსე** **მწვანე** **მასას,** **რომელსაც** **ასობით** **მექანიკი** **უკავია.** **კარგი** **მოსავალი** **მოიწიე** **სოფლების** **ტობანიერის** **და** **ბზვანის** **კოლმეურნეობებში.**

სურათზე: **საბჭოთა** **მეურნეობის** **მოწინავე** **მექანიზატორი** **თემურ** **მელაშვილი,** **რომელიც** **ორმაგად** **ასრულებს** **დღიურ** **დავალებებს.**

გ. გერსამიას **ფოტო** **(საქინფორმის** **ფოტოქრონიკა).**

ჟურნალისტთა პირველი რიგის ამოცანები

„დინამიზმითა და ცვლილებებით აღსავსე ჩვენს დროში არსებითად იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი“, — ხაზგასმით აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებაში. იმის საქმიან, მომთხოვნელ ანალიზს, თუ როგორ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას პარტიის ახალ მოთხოვნათა მიხედვით რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივები, მეიძღვნა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, ჟურნალისტთა კავშირის, სახტელერადიოს, საქინფორმის, საქართველოს სსრ გამსაჯამის ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივან-საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების შეხვედრა, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

მოხსენება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, გამომცემლობათა კოლექტივების გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. ა. ფოფხაძემ.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ვ. ბედინეიშვილი, თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის“ რედაქტორი ზ. ვ. არსენიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ სახტელერადიოს თავმჯდომარე ა. რ. სანებლიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე გ. გ. ჩოგოვაძე, საქინფორმის დირექტორი ა. შ. იოსელიანი, საქართველოს სსრ გამსაჯამის თავმჯდომარე რ. მ. ღლონტი, გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. გ. ალიევი, საოლქო გაზეთის „სოვეტსკაია აღჟარიას“ რედაქტორი ა. ა. მიქელთაძე, გაზეთ „ხარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორი შ. კ. ლარცელიანი, საოლქო გაზეთის „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქტორის მოადგილე ტ. ლ. არშბა, საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის მდივანი მ. მ. მესხი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ვ. ა. ზარიქაძე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი პ. თ. ნაცვლიშვილი.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის ყრილობის მიერ განსაზღვრულმა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალი გარდამტეხი ეტაპის ზუსტმა ორიენტირებმა საბჭოთა ადამიანები შეაიარაღა დაჩქარების სტრატეგიით. მისი შემდგომი განხორციელება მოითხოვს მასების აქტიურ შემოქმედებას, აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობაც, რომ საჭიროა საჯაროობა, გულახდილი პირდაპირი დიალოგი, საუბარი პრესაში ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზების შესახებ. წარმატების საწინდარი ხომ თითოეულის აზროვნების მტკიცე გარდაქმნა და სოციალური ნინამდეგილის ყველა უბანზე მუშაობის სტილის სრულყოფაა. გაზეთი გარდაქმნის სახეა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთელი საქმიანობა გამსჭვალული უნდა იყოს დაჩქარების შემოქმედებითი ძიების იდეით, ინერციის, ფეხმოკიდებული ბიუროკრატიზმის დაძლევის იდეით. და მხოლოდ ამ შემთხვევაში ნამდვილად საგრძნობი გახდება გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში თვით ცხოვრების მაჯისცემა, ის სიახლე, რომელიც ახლა მკვიდრდება ჩვენს სინამდვილეში.

ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლეულის დავალებათა განხორციელებისათვის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის კონცენტრაციის მნიშვნელობაც. ცხობილია ეკონომიკის სფეროს ისეთი წამყვანი მიმართულებანიც, როგორიც არის წარმოების ინტენსიფიკაცია, სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რეზერვების უფრო სრული გამოყენება, დისციპლინის განმტკიცება. და აქ რეალურად უნდა აისახოს პრაქტიკული საქმეები, ინიციატივები, და პირიქით, ნაკლები უნდა იყოს ფუფუნებაობა, ზედმეტი აღტაცება და ნამდვილი საქმის ვითარების შელამაზება.

აღნიშნეს რა ცალკეული დადებითი ძვრები, გარდაქმნის პირველი გაკვეთილები გაზეთების „კომუნისტის“, „ხარია ვოსტოკას“, „თბილისის“, „ვეჩერნი ტბილისი“, რესპუბლიკის ტელევიზიის მუშაობის პრაქტიკაში, შეხვედრაზე გამოსულმა ორატორებმა ამავე დროს თქვეს, რომ კმაყოფილი არ არიან ჟურნალისტური საქმიანობის გარდაქმნის მიმდინარეობით, რომ სისტემური ხასიათი არა აქვს ამ მნიშვნელოვან საქმეს.

საშფუხაროდ, რესპუბლიკური პრესა, ტელევიზია და რადიო ყოველთვის როდი არიან ყოველივე მოწინავის თავისებური ტრიბუნები, მტკიცედ და უნარიანად როდი აშუქებენ მშრომელი ადამიანის სასარგებლო გამოცდილებას, რომლის მიზანია ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ხომ უნარი შესწევთ დაეხმარონ ადამიანებს გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, მთელი შემოქმედებითი პოტენციალი, აქტიურად დაუჭირონ მხარი მასების ინიციატივას. სწორედ ეს იქნება საბჭოური ცხოვრების წესის საუკეთესო პროპაგანდა, ადამიანის ფაქტორის გაქტიურების, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრების საშუალება.

რედაქციებში ვერა და ვერ შეძლეს შეექმნათ ეკონომიკურ მიმომხილველთა ინსტიტუტი. ამავე დროს დღეს უკვე საკმარისი აღარ არის მარტოოდენ საპრობლემო საკითხების დაყენება, ზერელე მსჯელობა, არამედ საჭიროა სწორედ კონკრეტული, ღრმა ანალიზი როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მოვლენებისა, რომლებიც ხდება შრომითს კოლექტივებში — საწარმოებსა და მეურნეობებში, სასწავლებლებსა და სამედიცინო დაწესებულებებში. უმტესწილად ეს ეხება ადგილობრივ, მრავალტირაჟიან გამოცემებს, რომლებსაც თითქმის ყველგან უკონფლიქტო, არსებითად კი უპრინციპო პოზიცია უკავიათ, მხოლოდ ინფორმატორების როლს ასრულებენ. ვერა და ვერ გარდაიქმნენ, ნამდვილად თავიანთი სახე ვერ ჰოვეს ხობის რაიონულმა გაზეთმა „კომუნიზმის შშენებელმა“, გორის გაზეთმა „გამარჯვებამ“, მახარაძის გაზეთმა „ლენინის დროშამ“ და სხვ.

გვაღელვებს სხვა რამეც. დროა ყველგან შეიქმნას შეურიგებლობის ატმოსფერო, რომელიც გამრიცხავს წყაურუბას, უყურადღებობას, ჟურნალისტთა უსულგულო დამოკიდებულებას თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისადმი და ამავე დროს გაადიდებს პირველი პირების — რედაქტორების, ხელმძღვანელების პერსონალურ პასუხისმგებლობას პუბლიკაციების идეურ-პოლიტიკური დონისათვის, ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპების ზუსტად დაცვისათვის, წეგნის გამოცემის პრინციპული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა კონსტრუქციული ხასიათი, ქმედითობა მივანიჭოთ ჟურნალისტთა კრიტიკულ გამოსვლებს, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს ობიექტურობა, კომპეტენტურობა და არსებულ ნაკლოვანებათა რეალური დაძლევით ღრმა დაინტერესება.

შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ჟურნალისტთა კადრების აღზრდისა და განაწილების, მათი მუშაობის გარდაქმნის, პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის დონის ამაღლების ამოცანებს. აქ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა კოლექტივებში ამჟამად მიმდინარე კადრების ატესტაციამ. მასობრივი ინფორმაციის ორგანოების მუშაობის ქმედითი გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ამ პირობით, თუ თითოეული ჟურნალისტი ძირეულად გარდაქმნის დამოკიდებულებას თავისი, როგორც პარტიის სრულფეფლებიანი წარმომადგენლის, მისისადმი.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება:

მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

სკკპ XXVII ყრილობამ თითოეული პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვა ბრძოლისუნარიანობის გაზრდა, დისციპლინის განმტკიცებისათვის მათი როლის გაძლიერება, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესება, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, მასების შემოქმედების განვითარება, გარდაქმნის პროცესებში თითოეული კომუნისტის აქტიური მონაწილეობა.

ახლა, როცა დასასრულს მიუახლოვდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, ნათელი გახდა ის მუშაობა, პარტიული ორგანიზაციები რომ ეწევიან ყრილობის გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ეი, რა გამოჩნდა ქ. ჭიათურის ზონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთ კრებაზე.

უფერული კვალი

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებს

სოფელ ქვედა უსახელოს რვაწლიანი სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტიული მდივანი ლ. პაპიძე ზოგადად შეეხო პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს, მან სრულყოფილად ვერ გააშუქა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, სკოლის ცხოვრების და სასკოლო რეფორმის სხვა მტკიცნეული საკითხები.

უფრო დამაფიქრებელი იყო პურის მიმღები საწარმოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. ორგანიზაციაში 6 კომუნისტია გაერთიანებული. ისინი გადაცილებული არიან 60 წლის ზღვარს და მატერიალური წარმოების სფეროში არც ერთი არ ძრის დასაქმებული, მაშინ როცა ამ საწარმოში 45 მუშა შრომობს.

საანგარიშო კრების ძირითადი შინაარსი იმით გამოიხატა, რომ ფართოდ მიმოიხილეს ქვეყნის სამნაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები, შეშდეგ ილაპარაკეს ფქვილის შენახვის და ატვირთვა-გადატვირთვის საკითხებზე, აღნიშნეს, რომ არა აქვთ გათბობა, სასადილო, ტელეფონი, სპორტული მოედანი, ზოგადად შეუხნენ სამუშაოების შესრულების მიმდინარეობას. ეს იყო და ეს. აქ ფიქრადაც არავის მოსვლია

ინფორმაცია
ფაქტები • მოვლენები
ეროვნული მიმოხილვა

პრობლემები და განსჯა

ქვეყანათვის სასარგებლოა

ბოლოდან გამოვლინა თუ არა თავისი თვისებები ყურძენმა? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვუპასუხებთ, მიაჩნიათ საქართველოს სახაგრომრეწვის სპეციალისტებს, რომლებმაც გამოარკვიეს, რომ ნატურალური ყურძნის წვენი შეიძლება იყოს შაქრის შესანიშნავი ბუნებრივი შემცველი. კონცენტრირებული და ნატურალური ყურძნის წვენის გამოყენებით ხილის დაკონსერვების ახალმა ტექნოლოგიამ ფართო გამოყენება პოვა ახლა რესპუბლიკის აგრომრეწვის გადამმუშავებელ საწარმოებში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქაროზა, განსაკუთრებით იმ შემადგენლობით, როგორითაც მას იყენებენ მურაბის, ჯემის, კომპოტების დამზადებისას, უკუმჩვენებელია ორგანიზმისათვის.

პრობლემა საკმაოდ რთული იყო: მოესპოთ კონსერვებში საქაროზის შემცველობა, ამასთან მთლიანად შეენარჩუნებინათ ხილის გემო და უუთანები თვისებები.

ყურძნის წვენი დიდი რაოდენობის ფრუქტოზებთან ერთად შეიცავს ღვინის მჟავასაც, რომელიც აუცილებელია ხილის დაკონსერვებისათვის.

— შემადგენლობა, რომელსაც გამოცალილი აქვს მჟავები და საქაროზა, განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის, რომელებსაც დიეტური კვება ესაჭიროებათ, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის საკონსერვო მრეწველობის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა — ტექნოლოგმა თამაზ რაზმაძემ. — აი, რატომ არის, რომ ყურძნის წვენით ხილის კონსერვების წარმოება ფართოვდება. შარშან გამოვუშვით ექვსი მილიონი ქილა დაკონსერვებული ვაშლი და მსხალი. ამასთან, მნიშვნელოვანი პარტია გავგზავნეთ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში — ტიუმენში, კამჩატკაზე. წელს ვაპირებთ ყურძნის წვენით ვაწარმოოთ 20 მილიონამდე ქილა თესლოვანი ხილი.

მასობრივი გამოშვებისათვის რეკომენდებულია ახალი სახეობის პროდუქცია წელს საკუთარ წვენში ყურძნის წარმოება შეადგენს 3-4 მილიონ პირობით ქილას.

ახალი ტექნოლოგიის დანერგვას კიდევ იმიტომაც აქვს უპირატესობა, რომ იგი ზოგავს დიდძალ შაქარს. მაგალითად, მიმდინარე წლის დამლევამდე დაიზოგება სამი ათასი ტონა შაქარი.

ქართველ სპეციალისტთა მუშაობით დაინტერესდნენ ბულგარეთში. მისი წარმომადგენლები საქართველოს აგრომრეწვის უახლეს პროდუქციას გაეცნენ მოსკოვის შარშანდელ გამოფენაზე.

● ავსტრია

საჭიროა რადიკალური შემობრუნება

ვენის სესიის შედეგები

ვენა. აქ დამთავრდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ 28 ქვეყნის პარლამენტარები, პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ხელმძღვანელი მოღვაწენი, ოფისაწინააღმდეგო ორგანიზაციათა აქტივისტები, აგრეთვე 17 სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათ შორის იყო საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ნ. ტოლკუნოვი.

ორი დღის დისკუსიის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საკითხზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრა და იქ საბჭოთა მხარის მიერ წამოყენებული წინადადებანი ახლანდელ საერთაშორისო ვითარებასა და უშიშროების, განიარაღებისა და კონფრონტაციის თვალიდან აცილების პრობლემათა გადაჭრაზე.

საერთაშორისო კომიტეტის სესიაზე მიღებული მიმართვა ამ შეხვედრის მონაწილეებისადმი შეიცავს მოწოდებას, რომ იგი გახდეს გადამწყვეტი ნაბიჯი ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის გზაზე.

ამას უნდა ემსახურებოდეს, კერძოდ, ბირთვული შეიარაღების შემცირების ღონისძიებანი, ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ყველა ბირთვული გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, აგრეთვე ისეთი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სრული დაცვა, როგორიც არის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე შეთანხმება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება. მშვიდობა შეიძლება გარანტირებულ იქნეს მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობით, საერთო უშიშროების უზრუნველყოფითა და სამხედრო უპირატესობის მიღწევის ცდებზე უარის თქმით.

სესიის მონაწილეებმა მოითხოვეს სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასა და სხვა ამგვარ პროგრამებზე უარის თქმა, ქიმიური და ბინარული იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია, ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირება და ა. შ. საჭიროა, რომ ყველა ამ ღონისძიებას მოჰყვეს განიარაღებისაკენ რადიკალური შემობრუნება.

● ინდოეთი

ექსტრემისტები ტერორს თესავენ

დელი. პენჯაბის შტატიდან მოდის საგანგაშო ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ინდოეთის წინააღმდეგ გააქტიურდა ძირგამომთხრელი საქმიანობა.

ინდოეთის საინფორმაციო საგენტოს მონაცემებით, 28 ოქტომბერს ტერორისტებმა, რომლებიც იქ არიან მოკალათებული, საზღვარგარეთიდან მხარდაჭერით ომსხვერპლეს კიდევ ცხრა კაცი. შეიარაღებული თავდასხმები მოხდა ერთდროულად რამდენიმე ადგილას. მოკლულთა შორის არის ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) პარტიის ერთ-ერთი რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე სევა სინგჰ ბჰინდერი. სულ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ტერორისტული აქციების შედეგად დაიღუპა 20-მდე კაცი.

შტატში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით პენჯაბის მთავრობის მთავარმა მინისტრმა სურჯით სინგჰ ბარნალამ უბრძანა უშიშროების ძალებს გააძლიერონ ღონისძიებანი შეიარაღებული გამოხდომების თავიდან ასაცილებლად. მან მოუწოდა მოსახლეობას შეინარჩუნოს სიმშვიდე და წესრიგი, არ აჰყვეს რეაქციული ელემენტების პროვოკაციებს, რომლებიც ცდილობენ შექმნილი სიტუაცია გამოიყენონ რელიგიურ-თემური არეულობის გასაღვივებლად.

სადი აზრი

ედვარდ კენედი,
სენატორი:

„ისლანდიაში არსებობდა ასეთი დიდი და ისტორიული შესაძლებლობა, მაბრამ ის მსხვერპლად მიიტანეს სტრატეგიულ ინიციატივასთან დაკავშირებული გაურკვევლობის საკურთხევლზე“.

პრეზიდენტი დირიჟორობს

რეიკიავიკის შესახებ დეზინფორმაციის კამპანიას

ნიუ-იორკი. პრეზიდენტი რეიგანი კვლავ დირიჟორობს პროპაგანდისტულ კამპანიას, რომლის მიზანია გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის კურსი — მიაღწიოს ცალმხრივ სამხედრო უპირატესობას სსრ კავშირთან შედარებით — კურსი, რომელმაც ჩაფუშა მორიგება საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში.

ჯორჯიისა და ალაბამის შტატებში რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო მიტინგებზე გამოსვლისას მან ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული მეცადინეობის ღერძი უწოდა ეგრეთ წოდებულ „სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას“ — თავისი ადმინისტრაციის „განსაკუთრებულ მიღწევას“. აშკარად სპეკულანტობდა რა მშვიდობისადმი ამერიკელთა მისწრაფებით, იგი ადასტურებდა, თითქოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის განხორციელების დაწყების გადაწყვეტილებამ „დაამტვრია სსრ კავშირი მოლაპარაკების მაგიდასთან“. პრეზიდენტმა კვლავ განაცხადა, რომ მტკიცედ ერთგულობს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას, რომელსაც მან „ამერიკის დაზღვევის პოლისი“ უწოდა.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯიუტი ცდები შავი თეორად გააასაღოს, დამაბნეველებულად წარმოადგინოს რეიკიავიკის მოლაპარაკების მიმდინარეობა, შეცდომაში ვერ შეიყვანს საღად მოაზროვნე ამერიკელებს. ამერიკის შეერთებული შტატების სულ უფრო მეტ მოქალაქეს გამოაქვს დასკვნა, რომ ვაშინგტონის ახლანდელ ადმინისტრაციას „მოძრავებს არა ზრუნვა მშვიდობისა და კაცობრობის ცივილიზაციის ბედისათვის, არამედ კოსმოსის მილიტარიზაციის მეშვეობით სამხედრო უპირატესობისადმი მისწრაფება.

„ფაქტი ფაქტად რჩება: რეიგანმა ზუგრი შეაქცია უდიდეს შესაძლებლობას, რომელიც ოდესმე ჰქონია ამერიკის პრეზიდენტს, — უკუღმა შეატრიალოს გამალებული ბირთვული შეიარაღების ჩარხი და მიაღწიოს შეთანხმებას ბირთვული შეიარაღების დიდი ორმხრივი შემცირების დარგში, — აღნიშნა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და ამ გზეთის ყოფილმა წამყვანმა თანამშრომელმა ჯონ ოუქსმა. — ამერიკელი ხალხი უგულებელყოფს ფანტაზიას სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შესახებ და სურს დამთავრდეს დაწყებული საქმე, რომელიც დარჩა რეიკიავიკში მოლაპარაკების „მაგიდაზე“.

„რეიკიავიკში, — აღნიშნავს „ჭრილჩენ საიენს“ მონტეორის“ მიმომხილველი ჯოზეფ ჰარში, — რეიგანი ცდილობდა დაერწმუნებინა მხიელ გორბაჩოვი, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა ისეთის არაფერს შეიცავს, საფრთხეს რომ უქმნიდეს სხვებს, და ამიტომ, თითქოს, რუსებს არავითარი საფუძველი არა აქვთ მისი წინააღმდეგი იყვნენ. გარდა ამისა, რეიგანი დაპირებას იძლეოდა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფარგლებში კვლევის შედეგები გაუზიარებინა ყველასთვის, მათ შორის საბჭოთა კავშირისათვის. იმ დროისათვის, როცა მიიღებენ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფარგლებში კვლევის შედეგებს — თუ საერთოდ მიიღებენ მათ, — რონალდ რეიგანი უკვე დიდი ხნის წასული იქნება დასასვენებლად თავის კალიფორნიის რანჩოში. გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, გაუზიაროს შედეგები თუ არა, მოუხდება სხვას. იმის შანსი, რომ სხვა ამერიკელი პრეზიდენტი სინამდვილეში მოისურვებს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ტექნოლოგიის გაზიარებას, განსაკუთრებით თუ ეს ტექნოლოგია მრავლის აღმოქმელი აღმოჩნდება, სრულიად უმნიშვნელოა“.

სსრ კავშირს, აღნიშნავს მიმომხილველი, საფუძველი აქვს არ დაიჯეროს, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ტექნოლოგიას, საბოლოო ანგარიშით, ექნება მხოლოდ თავდაცვითი მიზანი. „ახლა, — წერს იგი, — ამერიკელ მკვლევართა ჯგუფები სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფარგლებში მუშაობენ იმ იდეაზე, რომ ლაზერის სხივები გამოიყენონ ფრენის დროს მოწინააღმდეგის სტრატეგიული რაკეტების განადგურებისათვის“. თუ შესაძლებელი გახდება ლაზერის სხივი სარკით აირეკლოს და წარიმართოს იგი კოსმოსში რაკეტის წინააღმდეგ, მაშინ ზუსტად ასევე შეიძლება მისი წარმართვა მიწისზედა სამიზნეების წინააღმდეგაც. გარდა ამისა, სტრატეგიული შეტევითი ინიციატივის ყველაზე აღტაცებულ მომხრეთა შორის რეიგანის ადმინისტრაციაში არიან პირწავარდნილი ანტისაბჭოელები, რომლებიც ემხრობიან ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირში არსებული წყობილების დამხობის ცდა. სავსებით მიზანშეწონილია საბჭოთა ხელმძღვანელმა იკითხოს, რატომ ესწრაფვიან პოლიტიკური თვალსაზრისით აქტიური ვაშინგტონელი ანტისაბჭოელები სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, თუ მას თავდაცვითთან ერთად არა აქვს შეტევითი შესაძლებლობებიც?“.

ამერიკელ ანალიტიკოსთა ერთ-ერთ ჯგუფს, ამ ჯგუფში ბევრ ცნობილ ადამიანს, ეკუთვნის ინიციატივა, ეცადოს ამერიკელ ხალხს ახსნა, ანუ, ამ ეტაპზე, ეცადოს ეს ინფორმაცია ამერიკელ ხალხისგან დაფაროს, ეს ინფორმაცია, ანუ ის, რომ ამ ინიციატივის ფარგლებში ჩატარებული კვლევა, ალბათ, ვერ ეცოცხლებოდა ერთ-ერთ ასეთ ინიციატივას, ანუ ის, რომ ეს ინიციატივ

როცა თქმა სჯობს არა თქმასა!

ანონიმური ბარათის მიღმა...

ჩვენს ქვეყანაში მასშტაბური, რევოლუციური გარდაქმნების ხანა დადგა. ყველგან, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საფეხურზე, ყველა სფეროში მიმდინარეობს ძირფესვიანი გარდატეხის პროცესი. ეს ეხება ახროვნებას, ცხოვრების ყაიდას, საქმიანობის სტილს.

ხელშესახები ცვლილებები, რომლებსაც სათვე დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და მომდევნო პლენუმებმა, სკკპ XXVII ყრილობამ, აშკარაა. ასეა ჩვენს რესპუბლიკაშიც, სადაც ყოველი შეგნებული ადამიანი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, შეძლებისდაგვარად აღმოჩნდეს დროის მოთხოვნათა დონეზე.

შთაგონებულ შრომაზე, კეთილსინდისიერ საქმიანობაში გამორჩეულებზე, ავრეთვე ჩვენი წინსვლის შემაფერხებელ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებზე გვწერენ გაზეთის მკითხველები, გვიზიარებენ თავიანთ ტკივილს, სიხარულს. მაგრამ სარედაქციო ფოსტაში სხვაგვარი ბარათებიც გვხვდება — „სიმართლისმაძიებელთა“ ხელით ნაწერი თხზულებანი, რომელთაგან სამართლე და გულწრფელობა, როგორც ეტყვიან, სათოფეზე არ არის. თუმცაღა სულ ახლო წარსულში ბევრი დაწესებულება თუ მუშაკი უამრავ დროს და ენერგიას ახმარდა არა ამდაგვარი ვიი-ავტორების მხილებას და საქვეყნოდ შერცხვენას, არამედ იმას, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ: ოგანთა მიერ შეთითხნილი პასკვილები გონებრივად და ზნეობრივად არაჯანსაღი ადამიანების ბრიყვული ფანტაზიის შედეგი იყო და სხვა არაფერი.

ანონიმური წერილი ერთ-ერთი სამარცხვინო მოვლენათაგანია იმ ნეგატიურ ტენდენციათა შორის, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით. ჩვენ შემთხვევით არ ვუწოდებთ ამ მოვლენას სამარცხვინოს, თუმცაღა კარგად გვესმის, რომ ცხოვრება რთულია და დასაშვებია მოვლენები ისე განვითარდეს, რომ ყველაზე უფრო წესიერი კაციც კი გაკიტიეებულთა და მხილებულთა მხრივ შურისძიების შიშით იძულებული შეიქმნას ხელისუფლების შესაბამის ორგანოებში ხელმოუწერელი წერილი გაგზავნოს. საიდუმლო არ არის, რომ ხშირად ბოროტების მატარებელთ, რომელთაც ურთიერთთავმდებობის „ვერიერებით შეკრულთ ხელისუფლების იერარქიის ამა თუ იმ სართულის სხვადასხვა საფეხურზე ჰყავთ ხოლმე გავლენიანი მფარველები და იოლად შეუძლიათ გაუსწორდნენ საერთო ინტერესებისათვის მებრძოლს — მოხსნან იგი სამსახურიდან, შეამთხვიონ ბევრი უსიამოვნება.

და მაინც, ჩვენი საზოგადოების ანტიპოდებთან ბრძოლის ანონიმური ფორმის გამამართლებელი არგუმენტების მოძიება ძალზე ძნელდება, რადგან ნამდვილად წესიერ კაცს არანაირ სიტუაციაში არ უნდა შეეძლოს დამალოს საკუთარი პოზიცია, ფაქტის მისეული შეფასება, თავისი სახელი. ვთქვათ და, გადაწყვიტა კიდევაც ანონიმური წერილის დაწერა, მაგრამ მასში მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნო მონაცემებს მოიტანს და თავის თავს მეტი არაფრის უფლებას მისცემს. ესე იგი, არ გაამუქებს სიტუაციას, ცილს არ დაწამებს იმათ, რომელთა ასოციალური მოქმედების გამომზეურებაც გადაუწყვიტავს. ერთი სიტყვით, შეიძლება აიხსნას, თუ რატომ მიიჩნია ამა თუ იმ ადამიანმა თავისი მიზნის განხორციელების საშუალებად ანონიმური წერილი, მაგრამ ბრძოლის ეს მეთოდი მაინც გაუმართლებელი და დასაგმობია. ანონიმური წერილი მაინც ანონიმური წერილია და მისი მეოხებით, თუნდაც მისი უსიტყვო მხარდამჭერით საზოგადოებას ვერ აღუზრდი ნამდვილ მოქალაქეებს — გულწრფელთ, ვაჟკაცურთ, წესიერთ, პრინციპულთ... ანონიმური წერილის გამართლებით, ვითომ იმის გამო, რომ ჩვენში ჯერ კიდევ შეინიშნება კრიტიკის ჩახშობის და დევნის შემთხვევები, არსებითად ხელს ვუწყობთ კიდევ ერთი სიავის დამკვიდრებას მხოლოდ იმიტომ, რომ სათანადოდ ვერ მოვუარეთ მეორე სიმახინჯეს.

ამას წინათ გავეცანით ანონიმური ანონიმის რამდენიმე ნაწარმოებს. ერთ-ერთში ითხოვდნენ დავხმარებოდით მარნეულის რაიონს, რომელიც „მალე სრულიად დაიშლება“, ვინაიდან ერთმა ბასუხისმგებელმა მუშამ და მისმა ნათესავებმა, რომელთაც გამკითხავი არა ჰყავთ, „გაძარცვეს საბჭოთა მეურნეობები“. უწიგნურ, ელემენტარულ ლოგიკას მოკლებული, ფაქტებისადმი უყურადღებო ბოლომდე ერთგული დარჩეს, თუნდაც ეს ვისმე ხელს არ აძლევდეს. არასოდეს არავის მისთვის ცილი არ დაუწამებია. თუმცაღა საქმის ინტერესებიან ბარათებიც ამხანაგებს, თანამოსაქმეებს, სხვადასხვა ხალხს. ყველაფერი მას მერე შეიცვალა, რაც იგი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. წყებად წამოვიდა ანონიმური ბარათები, რომლებშიც იგი იწოდება „გაუნათლებლად, დამნაშავედ, ნაციონალისტად, მეკრთამედ, რომლის ადგილიც მხოლოდ ციხეშია“ და ა. შ. არც მამამისის, რეკონსტრუქტორ-ლენინელის, საქართველოში სოციალიზმის ერთ-ერთი აქტიური მშენებლის, უაღრესად კეთილშობილი კაცის ხსოვნა დაინდეს, ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას შეალია. ეს ფსიქიურად არაჩვეულებრივი ადამიანის ან აშკარა არამზადის შეთითხნილი ნაბოდვარი მეტი დამაჯერებლობისათვის პატივსაცემი ადამიანების — პერსონალური პენსიონერების, პარტიის ვეტერანების, სოციალისტური შრომის გმირის გვარებით იყო ხელმოწერილი.

ადამიანს ყველაფერი ხელეწიფება, დიადიც და საზიზღარიც. ეტყობა თავქვე დაქანებულის ვარდნის სიღრმის გაზომვა მეტისმეტად ძნელია. სხვა რაზე მიუთითებს მისი თავხედური მოთხოვნა ქვეყნის ზემდგომი ორგანოებისადმი — თუ ბარათის ადრესატს სამსახურიდან არ მოხსნით, პარტიიდან არ გარიცხავთ... გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მივმართავო. ვინ თხზავს ამ „თხზულებებს“? რასაკვირველია ის, ვისაც ხელს არ აძლევს დისციპლინა, წესიერი, მომთხოვნელობის ატმოსფერო; არაკეთილსინდისიერ, არაშრომითი შემოსავლის მოყვარულ ხალხს, ზარმაც, არაკომპეტენტურ ადამიანებს. რომლებსაც სამსახურში უსაქმოდ ჯდომა ქვეყანას ურჩენენთ. ამის მისაღწევად კი ყველაფერს კადრულობს.

ანონიმური წერილის დამწერმა, რა თქმა უნდა, თუ საღ ჭკუაზეა, წინასწარ უწყის, რომ საზოგადოება, მიუხედავად იმისა, თუ რა მოტივი ასაზრდოებს მის მართლმაძიებლობას, უთუოდ გაკიცხავს. წინასწარ რომ სცოდნოდა, რომ მის საქმიანობას გამამზეურებდნენ და შეარცხვენდნენ, განა გადაწყვეტდა დმანისელი პედაგოგი დ. ისმაილოვი ყველა ინსტანციაში დაეგზავნა რაიონის ერთი მუშაკის „მამხილებელი“ ცილისმწამებლური მონაჩმახები, რომლებიც ცილისწამების ობიექტს არ შეეძლო ჩაედინა, უბრალოდ, თუნდაც მისი სამსახურის სპეციფიკიდან, უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ ჩხრეკისას მის მიერ წინასწარ გამზადებულ ათობით ანონიმურ წერილს შორის საკუთარი თავის „მამხილებელიც“ აღმოაჩინეს. „შესანიღბად“ — ასე ახსნა თავის უცნაური საქციელი ისმაილოვმა.

თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორი გზავნდა და გზავნდა საკუთარ თავზე ხელმოწერილ წერილებს იმ განზრახვით, რომ რამდენჯერმე შემოწმების შედეგად რომ დარწმუნდებიან წერილში მოტანილი ფაქტების სიყალბეში, სიმშვიდეს ეზარება ამ ბოროტებას, ხელი შეეწყოთ პირდაპირი, თამამი, პრინციპული პიროვნებების ჩამოყალიბებისათვის საჭირო ატმოსფეროს შექმნას, უპირველესად საჭიროა საერთოდ არ იკითხებოდეს ამგვარი ბარათები, რაც აიძულებს მათს ავტორებს ამაოდ არ კარგონ დრო მათ შესათხზველად. მეორეც, გიორკვეს საქმის ჭეშმარიტი ვითარება და უმაცრესად დაისაჯონ ამგვარი მთითხვნელები. ამისათვის უპირველესად უნდა მოვიშოროთ ამ სოციალურად საშიში მოვლენის სათანადო შეუფასებლობის სტერეოტიპი. ამასთან არ უნდა განხილებდეს იგი სხვა დანაშაულებებთან შედარებით უფრო მსუბუქ სიავედ. ეს განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკებს ეხება, რომლებიც, საქმე იმაზე რომ მიდგეს, ანონიმური ბარათის დამწერი პიროვნების მკაცრად დასჯის ვერც ერთ შემთხვევას ვერ გაიხსენებენ.

ჩვენ ვიცით — სიტყვა ძლიერი იარაღია. მისით შეიძლება ადამიანის განკურნება. ისიც ფაქტია, რომ სიტყვით, განსაკუთრებით ცილისმწამებლურით, ადამიანის განადგურებაც შესაძლოა. ვიცით ისიც, რომ სიტყვით დაუმსახურებლად შეიძლება აამო სამსახურებრივი მდგომარეობით ზემდგომი ორგანოს მუშაკს და ისიც თავისებურ ქრთამად თვლება. ამ სიავეს ვებრძვითო, მაშ რაღატომ არ შეიძლება შესაბამისად შევაფასოთ ცილისწამებაც, რის მეოხებითაც ნაძირალა ცდილობს ერთგვარად განაიარაღოს ხელმძღვანელობა. ჩაუკლას ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის სურვილი, მოსვენება დაუკარგოს საზოგადოების წევრს, რომელმაც თავისი ცხოვრებით უკვე დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილი ადამიანი, მოქალაქე, კომუნისტია.

თანამედროვე კრიმინალისტიკა საშუალებათა ძლიერ არსენალს ფლობს და ცილისწამებლური „ნაშრომების“ ვინაობის გამორკვევა არც ისე ძნელია. იქნებ ბულგარეთის, უნგრეთის და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებაზეც ღირდეს აყრადღების შეჩერება, სადაც ხელმოუწერელ ბარათს დოკუმენტად არ თვლიან.

ჩვენ ვაშენებთ საზოგადოებას, რომელშიც სოციალური სამართლიანობა, ჰუმანიზმი, წესიერება საზოგადოების ყოველი წევრის პრინციპებს და ყოველდღიური საქმიანობის დამახასიათებელი უნდა იყოს. ამგვარ პირობებში ადამიანის მდქალაქეობრივი პოზიცია შეუღლებელია ანონიმური დარჩეს. განსაკუთრებით შეუწყნარებელია ეს პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ, სადაც შემდგომი გაქანება მიეცა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. ჩვენი ვალია ხელი შეეწყოთ საზოგადოების წევრთა ჩამოყალიბებას იმდაგვარად, რომ, როგორც კ. მარქსი იტყოდა, თითოეული მათგანი ღირსი იყოს იწოდებოდეს საპატიო სახელით — ადამიანი.

თ. ჯაფარელი,
გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი.

საგამოფენო დარბაზებში

ოთხმოცდაექვსი

ამ დღეებში თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა 80-იანი წლების მხატვართა გამოფენა, რომელიც ერთგვარი გაგრძელებაა 50-იანი, 60-იანი და 70-იანი წლების გამოფენათა ციკლისა, თავის დროზე დიდი ინტერესით რომ გაეცხო ფართო საზოგადოებრიობა.

ახალგაზრდა მხატვართა უბრავლესობას ამჯერად პირველად მიეცა შესაძლებლობა მეტ-ნაკლები სისრულით წარმოეგზავნა თავისი შემოქმედებითი მიღწევები და შესაძლებლობანი.

მრავალფეროვანი და საინტერესოა წარმოდგენილ ნაშედევართა თემატიკა, საუცხოოა შესრულების ტექნიკაც. უშუალობა, კამერულობა და თამამი ექსპერიმენტი — აი ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს და გამოარჩევს ამ თაობის მხატვრებს წინამორბედთაგან. მათი უმრავლესობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბევრ მათგანს უკვე მიგნებული აქვს საკუთარი სტილი. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. ჩიტაძის, ი. ფარჯიანის, ლ. ჭოღოშვილის, გ. გუგეშვილის, ლ. ტატაშვილის, ჯ. კუბალაშვილის ნამუშევრები; საინტერესოა ი. ზაუტაშვილის, გ. ეძგვერაძისა და გ. ზაუტაშვილის აბსტრაქტული კომპოზიციები.

მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში ვხედავთ ქართული სახვითი ხელოვნების ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას და, ამავე დროს, თანამედროვე ხელოვნების უახლესი მიღწევების გამოძახილსაც.

ვფიქრობთ, ამგვარი გამოფენები უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს, რაკიგანაც ისინი ერთგვარ შემოქმედებთ სტიმულს აძლევენ ფუნჯის ახალგაზრდა ოსტატებს და, რაც მთავარია, ჩვენ, ხელოვნების მოყვარულთაც უშუალოდ ჩაგვახედებს მათ სულიერ სამყაროში.

ნ. კვიცარიძე.

ქალაქი იუბილეს იხდის

ტყიბული. (საკ. კორ.). მალე აღინიშნება პირველი ქართული ქვანახშირის წარმოების 140 წლისთავი. მეშახტეთა ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი თარიღის შეხვედრისათვის ქალაქში ფართო მზადებაა გაჩაღებული.

სამადოს მოწინავე შახტებმა ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების ათი თვის გეგმები, მოლიანად ქალაქის მრეწველობამ კი 22 ოქტომბერს, ვადაზე 9 დღით ადრე უპატაჯა სამრეწველო პროდუქციის იანვარ-ოქტომბრის გეგმის შესრულება.

დიდი სამუშაოები განხორციელდა მეშახტეთა უძველესი ქალაქის კეთილმოწყობისათვის: რეკონგზის სატვირთო სადგურის მახლობლად, ოქტომბრის მაგისტრალური ქუჩის გასწვრივ გაშენდა ახალი, ლამაზი ბაღი. ქალაქის ცენტრში მთავრდება გამარჯვების სკვერის მშენებლობა, რომელიც მთელ მდამოს დაამშვენებს. მოეწყო მგზავრთა რამდენიმე მოსაცდელი და სხვა.

განახლებული „რუსთაველი“

ხაშური. (საკ. კორ.). ხის დეკორატიული პანელებით, სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტებით დამშვენებული 540-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი, მოხერხებული ფოიე და ხილის წვენების ბარი, ორიგინალური განათება, რომელიც კიდევ უფრო ალამაზებს ინტერიერს — აი ასეთად წარმოუდგენიათ მაყურებლებს განახლებული კინოთეატრი „რუსთაველი“.

კინოთეატრის საზეიმო გახსნის პირველსავე საღამოს მაყურებლებმა შეხვედრა მოუწყვეს ქართული ფილმის „ნეილონის ნაძვის ხის“ შემოქმედებით კოლექტივს. გაიმართა ფილმის ჩვენება-განხილვა, რის შემდეგაც რეჟისორმა რ. ესაძემ უპასუხა მაყურებელთა შეკითხვებს.

ახალი სეზონი: ფიქრები, გეგმები

კვლავ შემოქმედებითი აღმავლობით

ონის სახალხო თეატრისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის გიგა ჯაფარიძის ღვაწლზე ქება ბევრი თქმულა. ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის შედეგი იყო ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც ონელებმა დადაქალაქის მაყურებელსაც გააცნეს — მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს და სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა. კვლავ მუშაობენ ახალ დადგმებზე, მედეგიც სასიკეთოა — საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების მრავალგზის ლაურეატმა თეატრმა გასულ სეზონში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული რეპერტუარით გათვალისწინებული ყველა პიესა დადგა. ტრადიციულად თეატრმა სეზონი გახსნა დიდი პოეზიის საღამოთი. შარშანდელი რეპერტუარიდან აღდგენილი იქნა გ. ჯაფარიძის პიესა „ულდებომაღლის ვარსკვლავი“, წარმატება ხვდა ესპანელი დრამატურგის აღესანდრო კასონას პიესას „დილის ფერია“, რომელიც ქართულ სცენაზე პირველად ონის სახალხო თეატრმა დადგა. ასევე საინტერესოა ცნობილი რუსი დრამატურგის ვადიმ კოროსტილოვის პიესა „ჩემი სევდა ნათელია“, რომლის დადგმაც მიეძღვნა ალ. ჭავჭავაძის დაბადების 200 წლისთავს (თარგმანი მიხეილ ქვლოვიძისა), ეს პიესაც პირველად სახალხო თეატრმა დადგა. თეატრის რეპერტუარშია მერაბ ბერაძის პრემიერებული პიესაც „თენდებოდა ახალი წლის დილა“.

შარშან, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავის დღეებში ონის სახალხო თეატრის კოლექტივმა დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გ. ჯაფარიძის პიესა „კლდებომაღლის ვარსკვლავი“, რომელიც ასახავს ჩვენი რაიონის მკვიდრის, საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი მაისურაძის ცხოვრების ეპიზოდებს. თეატრმა ამ სპექტაკლით მონაწილეობა მიიღო თვითმოქმედი ახალგაზრდა ავტორების ერთ-ერთ ფესტივალში, „ოქროს ტაძარი“ ... ...